საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2165-02
09/08/2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების”, ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2017 წლის 9 ივნისის N02–1342 ბრძანების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 მაისის №4 და 2017 წლის 7 აგვისტოს N7 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2017 წლის 9 აგვისტოს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ასოცირებული პროფესორის 4** საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და არჩეულ იქნან :

ა) ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 3 საშტატო ერთეულზე: **ალექსანდრე ასათიანი, ირაკლი კაჭარავა და გიორგი დანელია.**

ბ) ტურიზმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე **გიორგი ქემერტელიძე.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, ბიზნესის სკოლა.

3.უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი